ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №149

2011 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ოჩხამურში ჩოლოქის ქუჩაზე ვაჟა შაინიძის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ოჩხამურში ჩოლოქის ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გმირულად დაღუპული ვაჟა შაინიძის სახელი.

2. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქობულეთის სამსახურმა (ნ. ნოღაიდელი) აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად.

3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურმა (ბ. პაპიძე) აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**